

(2006)

ევროპარლამენტის რეზოლუცია სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობის შესახებ

ევროპის პარლამენტი,

-ითვალისწინებს რა საქართველოს შესახებ მის მიერ ადრე მიღებულ რეზოლუციას, კერძოდ, 2004 წლის 14 ოქტომბრის რეზოლუციას⁽¹⁾,

-ითვალისწინებს რა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის შესახებ მის მიერ 2006 წლის 19 იანვარს მიღებულ რეზოლუციას⁽²⁾,

-ითვალისწინებს რა მის მიერ საბჭოსთვის წარდგენილ 2004 წლის 26 თებერვლის რეკომენდაციას სამხრეთ კავკასიის მიმართ ევროკავშირის პოლიტიკის შესახებ⁽³⁾ და ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა შესახებ 2005 წლის 26 მაისის რეზოლუციას⁽⁴⁾,

-ითვალისწინებს რა ერთის მხრივ, ევროგაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორეს მხრივ, საქართველოს შორის დადებულ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივლისს,

-ითვალისწინებს რა ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის მიერ საქართველოში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ 2006 წლის 20 ივლისს გაკეთებულ დეკლარაციას,

-ითვალისწინებს რა ევროკავშირის ზოგად საქმეთა და საგარეო ურთიერთობათა საბჭოს 2006 წლის 16-17 ოქტომბრის სხდომაზე მიღებულ დასკვნებს,

-ითვალისწინებს რა თავისი საპროცედურო წესების 103(4)-ე წესს,

ა. იმის გამო, რომ სამხრეთ ოსეთში მდგომარეობა უარესდება და ბოლო თვეებში ადგილი ჰქონდა ინციდენტებს, სროლას და შეჯახებას საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებსა და პოლიციეს შენაერთებს შორის, რის შედეგადაც არიან დაღუპულები და დაჭრილები,

ბ. იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა ეჭვქვეშ დააყენა მოლაპარაკებათა პროცესის არსებული ფორმატი, სამშვიდობო ძალების შემადგენლობა და სამშვიდობო ოპერაციათა ის მექანიზმები, რომლებიც გამომდინარეობს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1992 წლის შეთანხმებიდან,

გ. იმის გამო, რომ ორივე მხარემ ცალცალკე წამოადგინა ორი სამშვიდობო გეგმა, რომლებიც შეიცავს ბევრ საერთო ელემენტს, რომლებიც შესაძლოა და უნდა გამოყენებულ იქნას როგორც ნაყოფიერი მოლაპარაკებების საფუძველი; იმის გამო, რომ ბოლო პერიოდში შერეულმა საკონტროლო კომისიამ ვერ შეძლო მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა,

დ. იმის გამო, რომ რუსეთის ფედერაცია, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მცხოვრებთათვის პასპორტების გაცემით აფერხებს საქართველოს კონფლიქტის ზონებში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას,

ე. იმის გამო, რომ სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩაატაროს თვითგამორკვევის რეფერენდუმი 2006 წლის 12 ნოემბერს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად.

ვ. იმის გამო, რომ საქათველო გადავიდა ნატოსთან ინტენსიური დიალოგის ეტაპზე, რათა შემდგომში გახდეს ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი,

ზ. ღრმა შემოთვებას გამოთქვამს რა საქართველოსა და რუსეთს შორის შექმნილი დიპლომატიური კრიზისის გამო, რომელიც შედეგად მოჰყვა საქართველოს კონტრაზვერვის სამსახურების მიერ ჯაშუშობის ბრალდებით რუსეთის სამხედრო სადაზვერვო სამსახურის ოთხი ოფიცრის დაპატიმრებას და ამის შემდგომ მოსკოვში რუსეთის ელჩის გაწვევას კონსულტაციების ჩატარების მიზნით.

თ. იმის გამო, რომ 2 ოქტომბერს რუსეთის ხელისუფლებამ შეწყვიტა საქართველოსთან ყველა სახის სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო მიმოსვლა, საფოსტო კავშირის ჩათვლით, იმის მიუხედავად, რომ ოთხივე ოფიცერი გადაეცა ეუთოს და ისინი ახლა რუსეთში იმყოფებიან.

ი. იმის გამო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ გაატარა რამდენიმე სერიოზული დისკრიმინაციული ზომა რუსეთში მცხოვრები ქართველების მიმართ მათი ეთნიკური წარმომავლობის გამო, რომლებიც მოიცავდა მოსკოვიდან თბილისში დაახლოებით 700 ქართველის დეპორტირებას. ასევე არსებული ინფორმაციით, ქართველი მრევლის, ბიზნესმენებისა და სკოლის მოსწავლეების შევიწროებას ორგანიზებული დანაშაულისა და უკანონო ემიგრანტების აღკვეთის საბაბით,

კ. იმის გამო, რომ რუსეთის ფედერაციამ 2006 წლის დასაწყისში აკრძალა მოლდოვადან და საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების (ღვინო, ხილი და მცენარეული წარმოშობის პროდუქცია) იმპორტი, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ორივე ქვეყანის ეკონომიკურ განვითარებას,

ლ. იმის გამო, რომ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დამოუკიდებლობისათვის ცალმხრივ მოძრაობას მხარს არ უჭერს არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და ეუთოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ხორციელდება უწყვეტი ძალისხმევა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით,

მ. იმის გამო, რომ ევროკავშირმა უნდა გააძლიეროს თავისი მხარდაჭერა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის მიზნით, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (ეუთო) და სხვა მხარეებთან თანამშრომლობის გზით,

1. კიდევ ერთხელ მოუწოდებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისაკენ, ადასტურებს თავის მხარდაჭერას სამშვიდობო პროცესის მიმართ და მოუწოდებს ყველა მხარეს იმოქმედონ პასუხისმგებლობით და თავი შეიკავონ ცალმხრივი ნაბიჯებისა და გამაღიზიანებელი და აგრესიული განცხადებებისაგან, რომლებიც ემსახურება მდგომარეობის გამწვავებას და შეიძლება ძალადობაში გადაიზარდოს;

2. ადასტურებს თავის სრულ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას სრულად სცეს პატივი ამ ქვეყნის სუვერენიტეტს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში;

3. მკაცრად გმობს საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში გარკვეულ ძალთა მიერ დამოუკიდებლობის დამყარების მიზნით ცალმხრივად განხორციელებულ მცდელობებს;

4. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის მთავრობას შეწყვიტოს ნებისმიერი ასეთი ძალის მხარდაჭერა და მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის მთავრობას სრულად დაუჭიროს მხარი მის სამეზობლოში კონფლიქტების მოგვარების მიზნით გაწეულ მრავალმხრივ ძალისხმევას;

5. გმობს იმ ფაქტს, რომ სამხრეთ ოსეთი აპირებს დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარებას 2006 წლის 12 ნოემბერს და შეახსენებს მხარეებს, რომ მსგავსი დამოუკიდებლობის რეფერენდუმი, რომელიც ჩატარდა 1992 წელს, არ იქნა აღიარებული საერთაშორისო დონეზე;

6. აღნიშნავს, რომ აუცილებელია შეჩერებული სამშვიდობო პროცესის ხელახლა დაწყება და მოუწოდებს ევროკავშირსა და ეუთოს მიმართონ გაძლიერებულ და ერთიან ძალისხმევას, რათა ორი სამშვიდობო გეგმის დაწყებით ეტაპზე მიღწეული პროგრესის გასტვალისწინებით, შესაძლებელი გახდეს მხარეთა დაბრუნება მოლაპარაკებების მაგიდასთან;

7. ამასთან დაკავშირებით, მოუწოდებს ორივე მხარეს ხელი მოაწერონ ძალის გამოყენებისაგან თავის შეკავებისა და უსაფრთხოების გარანტიების შესახებ ერთობლივ დოკუმენტს და აწარმოონ კონსტრუქციული მოლაპარაკებები შექმნილი ჩიხიდან გამოსვლის მიზნით; სინანულით აღნიშნავს, რომ 2006 წლის 12-13 ოქტომბერს ქ. ვლადიკავკაზში ჩატარებულმა ერთობლივი საკონტროლო კომისიის შეხვედრამ არანაირი შედეგი არ გამოიღო;

8. მიაჩნია, რომ კონფლიქტის ზონის სრული დემილიტარიზაცია და ამ ზონაში შეიარაღების რაოდენობის შემცირება, ეუთოს ერთობლივი სამშვიდობო შენაერთის გარდა, წარმოადგენს კონფლიქტის პრევენციის ძირითად ელემენტს და ნდობის აღდგენის მიმართულებით პირველ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს; აქედან გამომდინარე, მოუწოდებს რუსეთის მხარეს თავი შეიკავოს

საქართველოს ტერიტორიული წყლების სიახლოვეს სამხედრო წვრთნების ჩატარებისა და სამხედრო ძალის ნებისმიერი სახით დემონსტრირებისაგან;

9. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნეიტრალური ეფექტური და მიუკერძოებელი სამშვიდობო ოპერაციების ჩატარებას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია საქართველოში არსებული ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით; ამასთან დაკავშირებით, ინტერესით ელის ახალ შემოთავაზებებს კონფლიქტის ზონაში, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის ცეცხლის შეწყვეტის ხაზთან ამჟამად განლაგებული სამხრეთი ერთობლივი სამშვიდობო შენაერთის შესახებ; აღნიშნავს, რომ დანაშაულისა და უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ახალი შენაერთი უნდა შეიცავდეს პოლიციურ ელემენტს; ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ევროკავშირი, აუცილებელ შემთხვევაში, მზად უნდა იყოს, რათა კონტიგენტი გამოუყოს ახალ სამშვიდობო შენაერთს;

10. თვლის უსამართლოდ და დისკრიმინაციულად, რომ საქართველოს მოქალაქეებთან შედარებით, რუსეთის პასპორტების მქონე სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებს ევროკავშირის ქვეყნებში უფრო ადვილად შეუძლიათ გამგზავრება, რაც ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომელიც ხელს უწყობს სამხრეთ ოსეთის რეგიონში მდგომარეობის დამახვილასა და აფერხებს კონფლიქტის მოგვარების პროცესს;

10ა. მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს რუსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ ოფიციალური სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენელთა მხრიდან რეპრესიებისა და შევიწროების განხორციელება და ბრალდებების წაყენება;

11. მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას გააუქმოს საქართველოსა და თავის ტერიტორიაზე მყოფი საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ ახლახან მიღებული ყველა ზომა; ასევე მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას გააუქმოს მოლდოვასა და საქართველოს პროდუქციის იმპორტზე შემოღებული გაუმართლებელი აკრძალვები;

11ა. მოუწოდებს რუსეთს მიიღოს ცივი ომის დასრულების შემდეგ შექმნილი რეალობა და უარი თქვას გავლენის ექსკლუზიური ზონების შესახებ თავის დრომოჭმულ წარმოდგენებზე;

12. მოუწოდებს საბჭოს გააგრძელოს ყველა სახის ძალისხმევა დამაბულობის განმუხტვის, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ნდობის აღდგენის და დიპლომატიური კრიზისის შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით; მოუწოდებს ევროკავშირის საბჭოს და ევროკომისიას იპოვონ გზები, რათა დაეხმარონ საქართველოს მოსკოვის მიერ მიღებულ ეკონომიკური და სოციალური სანქციების შედეგების დაძლევისა და განეიტრალებაში;

13. მოუწოდებს ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიას შეიტანოს გაყინული კონფლიქტებისა და მათი მოგვარების საკითხი ევროკავშირისა და რუსეთს შორის მომდევნო სამიტების დღის წესრიგში;

14. მიესალმება საქართველოსთვის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმებას და ხელმოწერას; ელის, რომ მისი განხორციელება შემდგომ იმპულსს შესძენს ამ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესისა და რეფორმების გატარებას, მიესალმება ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ჰავერ სოლანას მიერ გაკეთებულ განცხადებებს, რომელმაც ამას წინათ აღნიშნა, რომ ევროკავშირი აპირებს უფრო აქტიური მონაწილეობის მიღებას საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში და მოუწოდებს ევროკავშირის საბჭოს უზრუნველყოს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ყველა იმ აუცილებელი საშუალებითა და რესურსით, რაც გახდის ამ პროცესს უფრო ეფექტურსა და თვალსაჩინოს;

15. ავალებს ევროკავშირის ამჟამინდელ თავმჯდომარეს მიაწოდოს ეს რეზოლუცია ევროკავშირის საბჭოს, ევროკომისიას, საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტსა და პარლამენტს, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას, გაეროსა და ეუთოს გენერალურ მდივნებს.

2006 წლის 25 ოქტომბერი.

www.Parliament.ge საკუთარი თარგმანი)